

Mon voyage; souvenirs personnels: De la Baltique à la mer Caspienne. I. Front Cover. Carla Serena. M. Dreyfous, 1880

La ville par elle-même, sous l'aspect défavorable de la saison, me charma peu. Mais elle me parut, et elle est en effet, la carte d'échantillon du Caucase, par la diversité des types et des individualités caractéristiques. Il me fut donné de connaître plusieurs cercles différents. Ceux des Géorgiens et des Arméniens m'intéressèrent particulièrement. (88)

საკუთრივ ქალაქმა, წლის არახელსაყრელი სეზონის გამო, დიდად არ მომხიბლა. მაგრამ მომეჩვენა და მართლაც, დამახასიათებელი ტიპებისა და პიროვნებების მრავალფეროვნების მიხედვით, ის ნამდვილად არის კავკასიის რუკის ნიმუში. მე რამდენიმე განსხვავებული წრის გაცნობის საშუალება მქონდა. განსაკუთრებით ქართველებმა და სომხებმა დამაინტერესეს.

En général, ces indigènes se croient inférieurs aux Européens, lesquels, ont tant d'orgueil, que le soupçon ne leur vient pas d'une suprématie sur eux. C'est pourtant quelquefois le cas, surtout parmi les Arméniens dont plusieurs, ces derniers temps, ont fait des études sérieuses dans différentes branches. Je reçus partout un accueil empressé. Partout aussi, je puis faire une ample moisson d'observations nouvelles. J'eus des renseignements précis sur la vie et les mœurs de ces populations encore primitives documents irrécusables, qui m'aidèrent à débrouiller ce chaos bigarré. Dans ce milieu où l'éducation n'est qu'ébauchée, où parmi les familles les plus considérées, l'instruction est nulle ou n'a qu'un vernis éphémère, mon apparition provoqua une surprise générale. (88-89)

საერთოდ, ეს ადგილობრივი ხალხი თავს ევროპელებზე დაბლა მდგომად თვლის, რომლებსაც [ევროპელებს] იმდენი სიამაყე აქვთ, რომ მათზე უზენაესობის ეჭვი არ ეპარებათ. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ეჭვიც ეპარებათ, განსაკუთრებით სომხებს შორის, რომელთაგან ბევრმა ბოლო დროს სერიოზულად შეისწავლა მრეწველობის სხვადასხვა დარგი. მე ყველგან თბილად მიმიღეს. აგრეთვე ყველგან შემიძლია ახალი დაკვირვებების უხვი მოსავლის მიღება. მე მქონდა ზუსტი ინფორმაცია ამ ჯერ კიდევ პრიმიტიული ხალხების ცხოვრებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ, უტყუარი დოკუმენტები, რომლებიც ამ ჭრელ ქაოსში გარკვევაში დამეხმარა. ამ წრეში, სადაც განათლება მხოლოდ ზედაპირულია, სადაც ყველაზე პატივცემულ ოჯახებს განათლება არ აქვთ ან ის მხოლოდ ეფემერულია, ჩემმა გამოჩენამ ყველა გააოცა.

Comme cela arrive souvent des choses simples, on y cherchait mille raisons. Il est facile de se rendre compte de la stupéfaction que devait causer une femme voyageant seule, dans ce pays déjà si rarement visité par des touristes, et où les femmes vivent encore dans un cercle si borné (89).

როგორც ხშირად ხდება უბრალო შემთხვევებში, ათას მიზეზს ეძებდნენ. ადვილი გასაგებია, რა გაცემა უნდა გამოეწვია მარტო მოგზაურ ქალს, რომელიც მარტო მოგზაურობდა ქვეყანაში, სადაც ასე იშვიათად სტუმრობენ ტურისტები და სადაც ქალები ჯერ კიდევ ასეთ შეზღუდულ წრეში ცხოვრობენ.

Peu à peu on se familiarisa avec cette idée, et je n'eus qu'à me louer de la bonhomie, et de l'affabilité.

ნელ-ნელა ამ აზრს შეეჩვივნენ და მე ისღა დამრჩენოდა, რომ კმაყოფილი ვყოფილიყავი მათი გულთადობისა და კეთილგანწყობის გამო.

Un séjour de six semaines à Tiflis m'initia aux coutumes de la classe aisée et civilisée. J'assistai à leurs fêtes, danses, banquets, mariages, etc. En ayant donné ailleurs les détails¹, je ne m'arrête ici à aucune description de ces mœurs d'une époque lointaine, et déjà un peu effacées. (89).

ტფილისში ექვსი კვირის განმავლობაში ყოფნამ მდიდარი და ცივილიზებული კლასის ადათ-წესები გამაცნო. მე ვესწრებოდი მათ წვეულებებს, ცეკვებს, ბანკეტებს, ქორწილებს და სხვ. დეტალები სხვაგან აღვწერე, აქ აღარ ვჩერდები იმ შორეული პერიოდისა და უკვე ერთგვარად წაშლილი ზნე-ჩვეულებების აღწერაზე.

On est hospitalier, au Caucase, principalement-les provinciaux, moins modernisés que les citadins. Lorsque mon projet d'expédition fut connu, je reçus de tous côtés des lettres des, indigènes adressées à leurs parents des provinces car nulle part l'étranger n'y peut trouver un gîte en payant. Un mot d'un parent ou d'un ami lui ouvre toutes les portes, chacun -est si attaché à sa localité" que tous voulaient avoir la préférence pour la leur. La princesse Tamara de Géorgie² m'apporta une lettre pour sa mère, la princesse Tchatchkawadzé de Tsinandale en (90) Kakhétie. Ce lieu est devenu historique par les exploits de Schamyl qui, en 185-4, fit enlever cette dame avec ses parents et plusieurs membres de sa famille qui restèrent, pendant quelque temps, ses prisonniers et otages, voulant par eux délivrer son fils entre les mains des Russes.

კავკასიაში ხალხი სტუმართმოყვარეა, ძირითადად პროვინციელები, რომლებიც ქალაქელებზე ნაკლებად მოდერნიზებულიები არიან. როდესაც ცნობილი გახდა ჩემი ექსპედიციის გეგმა, ყველა მხრიდან მივიღე ადგილობრივების წერილები თავიანთი პროვინციული ნათესავებისთვის გადასაცემად, რადგან უცხოელი იქ ვერსად ნახავს ფასიან გასაჩერებელ ადგილს. ნათესავის ან მეგობრის სიტყვა ყველა კარს გიხსნით, ყველა იმდენადაა მიჯაჭვული თავის სოფელს, რომ სხვაზე უპირატესობა სურდა. პრინცესა თამარ გრუზინსკიამ წერილი თავისი დედის, კახეთში, წინანდალში, პრინცესა ჭავჭავაძისთვის მომიტანა³. ეს ადგილი ისტორიული გახდა შამილის გამირობის გამო, რომელმაც 1854 წელს ეს ქალბატონი თავისი ოჯახის რამდენიმე წევრთან ერთად გაიტაცა, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში მის ტყვეები და მძევლები იყვნენ, რადგან მათი მეშვეობით სურდა თავისი ვაჟის რუსებისგან გამოხსნა.

Le jour de mon installation à Tiflis coïncida avec la naissance d'un fils du lieutenant du Caucase, le grand duc Michel Nicolavitch, frère de l'empereur Alexandre II Le canon, annonçant cet heureux

¹ Dans le Tour du Monde, voyage au Caucase.

² Le titre de prince et princesse de Géorgie resta aux descendants de l'ex-famille régnante.

³ იგულისხმება ანა ბატონიშვილისა და დავით ჭავჭავაძის ქალიშვილი თამარი (1852-1933), ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის მეუღლე.

événement, me fit craindre un instant qu'une nouvelle guerre ait éclaté. Quinze jours après, le baptême du nouveau-né eut lieu, et je reçus une invitation pour me rendre au palais.

ტფილისში ჩემი შესვლა იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმის, კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლაევიჩის ვაჟის დაბადებას დაემთხვა. ზარბაზანმა, რომელმაც ეს მხიარული მოვლენა გვამცნო, წამით შემაშინა, რომ ახალი ომი დაიწყო. თხუთმეტი დღის შემდეგ ახალშობილის ნათლობა შედგა და სასახლეში მისვლის მოწვევა მივიღე.

Plus tard j'eus l'honneur d'être présentée à Son Altesse Impériale le grand duc qui me reçut avec son affabilité caractéristique. Il m'engagea à visiter le pays, m'offrant pour cela toute facilité. (91)

მოგვიანებით პატივი მიქონდა წარდგენილი ვყოფილიყავი მისი საიმპერატორო უმაღლესობა დიდი მთავრისთვის, რომელმაც მისთვის დამახასიათებელი კეთილგანწყობით მიმიღო. მან დამიყოლია, რომ ქვეყანაში მემოგზაურა და ამისთვის ყველა საშუალება შემთავაზა.

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიაშვილმა)